პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 133 (19874) ოთხშაბათი, 10 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## კომუნისტის წმინდა სახელისათვის

### ეს იყო და არის ჩვენი პარტიის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კანონი

ავიწყებთ მოსკოველი ა. ანდრეევის წერილით, რომელიც მან რედაქციას გამოუგზავნა და პარტიული წოდების სიწმინდეს ეხება.

„გული მატკინა შემთხვევით მოსმენილმა საუბარმა. ორი შუახნის მამაკაცი, ინტელიგენტები, დინჯად საუბრობდა. „რას შვრები, იზრდები სამსახურში?“ — ჰკითხა ერთმა. პასუხი: „ნელ-ნელა ვიზრდებოდი, ახლა საქმე უფრო სწრაფად წავა წინ: წევრობა მოვახერხე“.

...ვიცი მათი გვარები, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათაც ზიზღით ლაპარაკობენ და იტყვიან ხოლმე: პარტიას მიეტმასნაო. მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის უწმინდეს რამეზე — პარტბილეთზე! — ისინი ისე მსჯელობდნენ, როგორც საშვზე, რომელიც მათ რაღაც პრივილეგიებს, სამსახურებრივი კარიერის გზას გაუხსნიდა“.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ასეთ აზრს. ხალხს არ უნდა და ვერც ურიგდება პარტიაში იმათი შეღწევის ფაქტებს, ვინც შორს არის მისი ჭეშმარიტი იდეალებისაგან.

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, რომლებმაც განსაზღვრა გარდაქმნის მაგისტრალური მიმართულებანი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანა, აღნიშნულია, რომ საჭიროა ნეგატიური მოვლენებისაგან შემდგომი განწმენდა. პარტიელის სახელი მუდამ ხალასი და პატიოსანი უნდა იყოს.

ნამდვილი კომუნისტი არასოდეს არ შელახავს თავის წოდებას ულირსი საქციელით და პარტიაში ასეთი ადამიანები დიდი უმრავლესობაა. მაგრამ ნაადრევი იქნებოდა მიგვეჩნია, თითქოს დისციპლინის, ორგანიზებულობის, ზნეობრიობის განმტკიცების, მომთხოვნელობისა და პრინციპულობის გაძლიერების ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე ხორციელდება, უკვე უზრუნველყო სრული წესრიგი ჩვენს პარტიულ სახლში. ჯერ კიდევ მოაქვს სარედაქციო ფოსტას საგანგაშო სიგნალები ადგილებიდან: სადღაც ივიწყებენ გარდაქმნას, სადღაც ცდილობენ იცხოვრონ და იმოქმედონ ძველებურად...

„პრავდის“ 9 ივნისის მოწინავე.

## მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კურსით



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის თბოფიზიკური გამოკვლევების ლაბორატორიაში მეცნიერთა ჯგუფმა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ნოდარ მირიანაშვილის ხელმძღვანელობით დაამუშავა და სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში დანერგა თბოსატუმბავი დანადგარი, — გვიამბობს ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მინდია სალუქვაძე, — ამ პრობლემის დამუშავებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ გომელაური. სიახლემ შეცვალა მოძველებული დანადგარი. მისი გამოყენება 100 ათას მანეთ წლიურ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

ახალი პირველადი გარდამქმნელი სისტემები, რომლებსაც ფართოდ გამოიყენებენ ჩარხსაშენებელ მრეწველობაში, შემუშავებულია არაელექტრული პარამეტრების ელექტრომაგნიტური ფართოდიაპაზონიანი პირველადი გარდამქმნელების ლაბორატორიაში. შემმუშავებელთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ოთარ ღაბაძე.

ახალი სისტემა ამჟამად გამოყენებულთაგან განსხვავდება ფართოხაზიანი დიაპაზონების გარდაქმნის სწრაფი მოქმედებით, სხვა მრავალი სიკეთით.



სურათებზე: ეს-1055 ელექტრონული გამომთვლელი მანქანების დარბაზში; ენერგეტიკის ფიზიკურ-ტექნიკურ და საოპტიმიზაციო პრობლემათა განყოფილების ინჟინერი გიორგი გარსევანიშვილი მეცნიერული კვლევის დროს.

ვ. ვალიშვილის ფოტო.



## მგზნებარე მაძიებელი

...ბინდდებოდა. საღამოს სიმრუმემ ოთახშიც შემოიხედა. მაგიდიდან ქაღალდებში მოკირკიტე კაცი წამოდგა, ელნათურა აანთო და კედლის საათს გახედა.

— იცის, რომ ველოდები, რატომ შეაგვიანდა ნეტავ? რამე ხომ არ უჭირთ ბიჭებს, — გაიფიქრა და ოდნავ გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა, ქუჩას გადახედა. შუქფარების ციმციმ-ბრდღვიალით მიმოქროდნენ ავტომანქანები, ასფალტზე ცეკვავდნენ წვიმის დიდრონი წვეთები...

კაბინეტის კარის სახელურმა გაიხმაურა. ფანჯარასთან მდგომი მოტრიალდა, სახე ღიმილმა გაუნათა.

— შეიძლება? — გაისმა ნაცნობი ხმა.

— მოდი, მოდი ჩემო ვახტანგ. რამდენი ხანია გიცდი. რომ არ გამოჩნდი, რა არ ვიფიქრე. ხომ მშვიდობაა?

— ტრაქტორი გაგვიფუჭდა. ვერ დავტოვე ბიჭები მარტო. შეკეთებამ დიდი დრო წაგვართვა. მერე ჭურიის იმ უბნიდან სამანქანო გზამდე არც ისე ცოტა მანძილია და... — თითქოს თავს იმართლებსო, ახალმოსულმა სახიდან წვიმის წვეთები ჩამოიწმინდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზუგდიდის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს დირექტორს მურთაზ ფაცაციასა და მეორე სატრაქტორო ბრიგადის თავკაცს ვახტანგ ხარებავას შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ჩვენმა კოლექტივმა რაიონის ხელმძღვანელობისაგან რთული და საპატიო დავალება მიიღო: ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში მექანიზებული წესით ამოვძირკვოთ ამორტიზებული ჩაის პლანტაციები. ადრე ამ სამუშაოს ხელით ასრულებდნენ მამაპაპური ბარითა და ცულით. ახლა საქმე ეხება ათობით ჰექტარს. გარდა ამისა, მთავარი ამოცანა ის არის, რომ ამოძირკვის პროცესში მიწის ჰუმუსოვანი ფენა დაუზიანებლად დარჩეს და ნიადაგი ფესვებისგან გაიწმინდოს. ასეთი წესით საქართველოში, რამდენადაც ცნობილია, ჩაის ბუჩქები ჯერ არ ამოძირკვულა, ჩვენ ვიქნებით პირველები. ამდენად, გამოცდილებასაც ვერავის დავესესხებით.

— როგორ ფიქრობ, ვახტანგ, შევძლებთ? — ჰკითხა დირექტორმა ჩაფიქრებულ ბრიგადირს.

— შეუძლებელი არაფერია, პატივცემულო მურთაზ. გამოცდილი, მცოდნე მექანიზატორები ცოტა როდი გვყავს...

— ჰოდა, მეც იმიტომ დაგიბარე, რომ ეს სამუშაო შენს ბრიგადას ვანდო. ბიჭებს მოელაპარაკე, აუხსენი ამოცანის არსი და მნიშვნელობა, დრო არ ითმენს. ხვალ-ზეგ საცდელი გასვლა უნდა მოვაწყოთ პლანტაციაში...

ეს დღეც დადგა. მუხლუხა ტრაქტორები ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამოსაძირკვავად გათვა-... შემდეგ მოიხედა ბრიგადირმა და შეჩერდა. მწკრივის ადგილზე საკმაოდ ღრმა და განიერი თხრილი გაწოლილიყო. ალაგ-ალაგ უშნოდ გადაჯეგილი, ფესვებგაბარჯღლული ბუჩქები ეყარა. ტრაქტორის დანის პირს მთლიანად დაეზიანებინა, ამოებრუნებინა ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა. ეს კი ნიშნავდა, რომ ამ მეთოდით არამც და არამც არ შეიძლებოდა მუშაობის გაგრძელება. საქმე თითქოს ჩიხში მოექცა. რა ქნან, რა ხერხს მიმართონ? წუხდნენ, ფიქრობდნენ, ათასნაირ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ინჟინერ-მექანიზატორები, დიპლომიანი სპეციალისტები და ტრაქტორისტები.

დავის თავი არ ჰქონდა. ჩუმად, უსიტყვოდ გაეცალა მოკამათეებს ვახტანგ ხარებავა.

იმ ღამეს ძილი გაუტყდა ბრიგადირს. გამთენიისას საწარმოში მივიდა. დაფიქრებული, ამოსაძირკვად გამიზნულ პლანტაციაში მიაგელვებდა თავის „ბელარუსს“. ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდნენ ბრიგადის წევრები, საწარმოს ხელმძღვანელები, რომ მათთვის გაენდო ნააზრევი, აწონ-დაწონილი ვარაუდი, რომლის სისწორის დადასტურება იმავე დღესვე იყო შესაძლებელი, და აკი დადასტურდა. ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

შტრიხები ბიოგრაფიიდან: 1966 წელს დაამთავრა ქალაქ ზუგდიდის მერვე საშუალო სკოლა და შრომითი საქმიანობა დაიწყო ზედა ენრის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მერე აგრონომად მუშაობდა. ვახტანგ ხარებავა ოცნებობდა მსახიობობაზე, იყო თეატრის ხშირი სტუმარი. უყვარდა მშობლიური ბუნება. მისმა ტრფიალმა სატყეო მეურნეობაში მიიყვანა 1968 წელს. მონდომებული ჭაბუკი მალე მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. 1975 წლამდე უძღვებოდა მეტყევეთა ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელიც ჭურიის უბანში, ძნელ პირობებში პირნათლად აკეთებდა საქვეყნო საქმეს. შემდეგ სამი წელი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოზეინკალთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1978 წლიდან მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს სატრაქტორო ბრიგადას უდგას სათავეში. სკკპ წევრია 1980 წლიდან. არის გულისხმიერი მეგობარი, ახალგაზრდა მექანიზატორთა მასწავლებელი და დამრიგებელი, ტკბილმოუბარი, ჩინებული მეოჯახე და ორი შვილის მამა.

ბრიგადირი აქტიურად მონაწილეობს როგორც საწარმოს, ასევე რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არჩეუ-...

...წარმოს სახალხო კონტროლიორთა თავკაცმა მეათე ხუთწლედში დაგეგმილზე სამი პროცენტით ნაკლები საწვავი დახარჯა, ხოლო მეთერთმეტეში — ოთხი პროცენტით, ანუ დაზოგა ტონობით პირობითი საწვავი. მარტო გასულ ხუთწლედში ვ. ხარებავას ბრიგადის ძალებით ათვისებულია 683 ჰექტარი ჭაობითა და ტყებუჩქნარით დაფარული ფართობი.

ხარებავას ხუთკაციან ბრიგადას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება, თავად ბრიგადირი კი შრომითი მიღწევებისათვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა.

იგი ახლა ოცდათვრამეტი წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცია. ბევრი ბედნიერი დღე უნახავს ცხოვრებაში, გულიც ბევრჯერ სტკენია, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ყველაზე დიდი სიხარული და მღელვარე დღეები გასული წლის საოქტომბრო დღესასწაულის წინ ჰქონდა. დიახ, სწორედ საშეიდნოემბროდ აუწყა ქვეყანას პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ სასიხარულო ცნობა ზუგდიდელი მშრომელი კაცისათვის სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ.

...

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ვახტანგ ხარებავა.

გ. ფიფიას ფოტო.

## დავაჩქაროთ ვაგონების ბრუნვა

## შეუწყნარებელი ფაქტები

წინა თვეებში, როცა ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის გაწეული მუშაობის შედეგებს ვაჯამებდით, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ბოლო პერიოდში დაისახა ტვირთის მიმღებთა მიერ ვაგონების მოცდენის შემცირების ტენდენცია. ეს მართლაც ასეა, მაგრამ განსაკუთრებით ხელშესახები ამ მხრივ არაფერი გვაქვს, წინსვლა უმნიშვნელოა. გადმოცლის მოლოდინში კვლავ ყოვნდება ასობით ვაგონი, კვლავ მრავალია მოვალეობისადმი დამოკიდებულების სრულიად შეუწყნარებელი ფაქტები, ფერხდება მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე, რომელიც, როგორც ამხანაგმა ი. კ. ლიგაჩოვმა თბილისის ელმავალმშენებლებთან შეხვედრისას აღნიშნა, მთელი ეკონომიკის ხერხემალია. განა არ იცის ყველა სამინისტროს, უწყე-...

...პორტო სამსახურები, ყოველთვის არ წარმოებს ღამით გადმოტვირთვა. მრავალი ტვირთის მიმღები ცდილობს თავისი ცოდვები რკინიგზას გადააბრალოს, უკავია მისდამი მხოლოდ შეტევითი პოზიცია და თვითონ კი ცოტას ღონობს გადმოცლის სამუშაოთა ფრონტის გაფართოებისათვის, მისასვლელი გზების მოწესრიგებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ვაგონებზე დიდი მოთხოვნის მქონე ბევრი ორგანიზაცია კარგად ართმევს თავს საქმეს. მაისში, მაგალითად, ...

...მოაცდინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მიზეზით დღე-ღამეში საშუალოდ 11,5 ვაგონი ყოვნდებოდა. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შარშან ამ დროს სახაგრომრეწვის მიზეზით გაცილებით მეტი — 549 ვაგონი იდგა გადმოტვირთვის მოლოდინში. განსხვავება კი არის, მაგრამ ამით რკინიგზას დიდი შვება მაინც არ უგრძვნია. ასევე ითქმის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებზეც, რომლებმაც შარშან მაისში 287, ხოლო წლეულს ...

...ლებთ იმ ორგანიზაციების, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელებს, რომლებიც ურეაგიროდ დატოვებენ რედაქციის გამოსვლებს.

დიდძალი ვაგონი იდგა გადმოუცლელად აფხაზეთში. მაისში მარტო ოჩამჩირის რაიონში დაყოვნდა 264 ვაგონი, ქ. გაგრაში, გულრიფშის რაიონში და გუდაუთის რაიონში შესაბამისად 31,27 და 20 ვაგონი ელოდა თავის ჯერს. რა მოხდა, მაგალითად, მცხეთის რაიონში ისეთი, რომ 90 ვაგონის გადმოტვირთვას არ და-...

ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. ვაგონების ბრუნვის დაჩქარება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამის შეხსენება არავის არ უნდა სჭირდებოდეს. ვაგონები უნდა გადმოვცალოთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს, დასვენების დღეებშიც. გადმოუტვირთავი არ უნდა დარჩეს არც ერთი ვაგონი. ვიდრე ამას არ მივაღწევთ, არ გვაქვს უფლება რკინიგზას შესაძლებლობაზე მეტი მოვთხოვოთ.

რედაქციაში ახლახან მიღებული ცნობით, გასულ კვირასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მოცდენა. მაგალითად, თუ კვირას, 31 მაისს ზენორმატიული ვადით დასამუშავებე-...

...უკვე 55-მდე შემცირდა.

გამოსწორდა საქმე რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სატრანსპორტო სამსახურებშიც. თუ წინათ საწარმოები და მეურნეობები გათვალისწინებული დროის გადამეტებით აფერხებდნენ ათობით ვაგონს, ახლა მხოლოდ რვას. დაჩქარდა ვაგონების განტვირთვა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს, მთელ რიგ სხვა სისტემებში.

მაგრამ, ვითარების გაუმჯობესების მიუხედავად, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა პრაქტიკულად ყველა ვაგონი მოექცეს სატრანსპორტო ბრუნვაში.

შ. ამაშუკელი.

## უჯათიანი კონცენტრატი

ახალციხის პურის მიმღებმა საწარმომ რესპუბლიკაში პირველად აითვისა მარცვლეულის ახალი კონცენტრატი, რომლის მეოხებითაც ...

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ წოდების მინიჭების შესახებ

„გმირი დედის“ წოდება მიენიჭოთ და „გმირი დედის“ ორდენი გადაეცეთ დედებს, რომლებმაც შვეს და აღზარდეს ათი შვილი:

თურმანიძეს უმიან რემზის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონი.

ქელეხსაევას ნანული დიმიტრის ასულს — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელი შინდარა.

ხაჭაპურიძეს ცირა სერგის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1987 წლის 15 მაისი.

## დოკუმენტების კრებული

გამოიცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში. 1987 წლის 25-27 მაისი“.

კრებულში გამოქვეყნებულია ამხანაგების ნ. ჩაუშესკუს და მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები საბჭოთა ხელმძღვანელისთვის გამართულ სადილზე და რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგზე, ცნობები ვიზიტის დროს გამართული უმაღლესი დონის შეხვედრების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ბუქარესტის 23 აგვისტოს სახელობის საწარმოს მშრომელებთან შეხვედრის შესახებ და სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საქინფორმი).



# დიდი სომეხი პოეტი

**სომხეთის** საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა დიდი პოეტისა და მოქალაქის ეღიშე ჩარენცის დაბადების 90 წლისთავი.

ეღიშე ჩარენცის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული სომეხი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, მის სოციალისტურ აღორძინებასთან. ახალგაზრდა პოეტი დიდი ოქტომბრის მოწმე იყო. იგი 1918 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში, შაშხანით ხელში იცავდა საბჭოთა ქვეყანას უცხოელი ინტერვენტების შემოტევისაგან. წითელ პოლკებთან ერთად, ჯავშნოსან „ვარდან ზორავარით" იგი შევიდა ერევანში, როგორც ერთი მისი განმათავისუფლებელთაგანი.

ჩარენცი ამაყად უმღეროდა საბჭოთა ხალხის აღმშენებლობით სულისკვეთებას, შექმნა ვ. ი. ლენინის უკვდავი სახე, პოემები, ბალადები, რომლებშიც ნაჩვენებია ცოცხალი სახე რევოლუციის ბელადისა, სახე რომელიც მისთვის იყო ისტორიულ გამარჯვებათა სიმბოლო.

5 ივნისს ერევანში გაიმართა ამ შესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. დემირჭიანმა.

ჩარენცის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. პეტროსიანმა.

ჩარენცის პოეზია უკვდავია, თქვა სოციალისტური შრომის გმირმა ე. ისაევმა, ილაპარაკო ისეთ დიდ პოეტზე, როგორიც ჩარენცია, ძნელია, რადგანაც იგი იყო მშვენიერების, აზრის, ენერგიის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოეტი. დიდი სომეხი მომღერლის პოეზია მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულში.

ქართული საბჭოთა პოეზიის უხუცესმა, სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ გაიხსენა თავისი შეხვედრები ეღიშე ჩარენცთან, მისი მგზნებარე გამოსვლა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. „ჩარენცი ეხვეოდა ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, პასტერნაკსა და ტიხონოვს, აქებდა ტაბიძის გამოსვლას, რომელშიც მან თქვა: „ამხანაგებო, განა სირცხვილი არ არის, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირის ხალხებმა — უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, შუა აზიის პოეტებმა ასე ცოტა რამ ვიცით ერთმანეთის შესახებ?".

სალამოზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ეღიშე ჩარენცის, მაიაკოვსკის, სულეიმან რუსთამის, ავეტიკ ისააკიანის, გალაკტიონ ტაბიძისა და მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა უკვდავი პოეზია ჩვენთან ერთად თამამად მიაბიჯებს ნათელი მომავლის გზით.

(საქინფორმი-არმენპრესი).

## ორიოდ სიტყვით

◆ **გასულ** შაბათს ტანძიაში გაიმართა ყოველწლიური ტრადიციული „დღესასწაული საბაობა, რომელიც დაემთხვა შრომის დღესასწაულს — მთიელთა ძაბის მშენებლობას. აქ ხომ ახალი სამშობლო იპოვეს სტიქიური უბედურებით დაზარალებულმა სვანებმა.

მწერლის, მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ხსოვნის პატივსაცემად აქ შეიკრიბნენ თბილისიდან, საქართველოს სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული სტუმრები, ბოლნისის რაიონის დაძმობილებული ბერშადის რაიონის (უკრაინის სსრ) წარმომადგენლები, რომლებმაც ბოლნისელებს გადასცეს მათი დიდი თანამემამულის სურათი, ხეზე რომ ამოუკვეთიათ ვინიცელ ხალხურ ოსტატებს. აქ გაიხსნა სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი.

შემდეგ გაიმართა საზეიმო მიტინგი.

საბაობა დამთავრდა ბოლნისის, რუსთავის, გარდაბნისა და სვანეთის მხატვრული კოლექტივების დიდი კონცერტით.

◆ **მხატვრული** სიტყვის დიდოსტატის — გიორგი ლეონიძის შემოქმედების უამრავი თაყვანისმცემელი შეიკრიბა გასულ კვირას საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ გოგლაობაზე.



თვალსაჩინო ლიტერატორებმა და ხელოვნების მუშაკებმა, რაიონის მშრომელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა მოინახულეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მომავალმა პოეტმა და სადაც მოწყობილია გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია. შემდეგ დღესასწაულმა გოგლას გორაზე გადაინაცვლა, სადაც გაიმართა მიტინგი. დასასრულ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

◆ ◆

**სურათზე:** დღესასწაულის დროს.

**მ. დავითაშვილის ფოტო**

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

◆ **გაიმართა** ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების ავტომობილების მძღოლთა და ავტოინსპექტორთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა სატრანსპორტო შემთხვევების გარეშე მუშაობის საკითხს. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი გ. ვინცაძე. შეკრებაზე გამოსულებმა ამხილეს მუშაობის ნაკლოვანებები და ხარვეზები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა მოწინავე მძღოლთა დიდ ჯგუფს გადასცა საპატიო სიგელები და სამკერდე ნიშნები.

◆ **გაიზარდა** პალმა, რომელიც ჰო ში მინმა ლენინის მოედნის მახლობლად პარკში დარგო, როცა იგი დაახლოებით ოცი წლის წინათ სოხუმს ესტუმრა. იხარა ხალხთა მეგობრობის ახალმა ნერგმა იმ ქალაქში, რომელსაც შორეული ვიეტნამიდან ჩამოსულმა სტუმარმა ძმობის ქალაქი უწოდა, როდესაც გაიგო, რომ აქ სამოცდაათზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. დღეს სოხუმის ქუჩებში ისმის ვიეტნამური საუბარი. აქ ჩამოვიდა ვიეტნამის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის კულტურების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დაამთავრა.

სოხუმში ვიეტნამელ სტუდენტთა და სპეციალისტთა სწავლება ტრადიციული გახდა. სულ უკანასკნელ ხანში აქ დიპლომები მიიღო დაახლოებით 500 კაცმა. მალე სწავლას შეუდგება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა კიდევ ერთი ჯგუფი 55 კაცის შემადგენლობით.

◆ **აბრეშუმით** ნაქარგი შოთა რუსთაველის აფორიზმები სავიზიტო ბარათი გახდა მოხელსაქმე ბიეტა აბშილავას გამოფენისა, რომელიც გაიხსნა მხატვრის სახლში. აქ წარმოდგენილი 168 ნამუშევარი ქართული პოეზიის უნიკალურ ანთოლოგიას შეადგენს.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი უკავია მშვიდობის თემას. სპეციალური სტენდი ეძღვნება შინმოუსვლელი პოეტების ხსოვნას. ამოქარგული ქათქათა მტრედები, მშვიდობისადმი მიძღვნილი პოემებისა და სიმღერების სტრიქონები — ყოველივე ეს შეადგენს მოხელსაქმე მხატვრის კოლორიტულ პალიტრას.

## კადარი შეხვდა ბატმუნხს

**ბუდაპეშტი.** 9 ივნისს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. ბატმუნხს, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოუძღვა პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას.

საბჭოთა კავშირის წინადადებები განიარაღების დარგში, მისი სამშვიდობო ინიციატივები შეესაბამება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძირეულ ეროვნულ ინტერესებს, აღნიშნა შეხვედრაზე ი. კადარმა. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ და კონსტრუქციულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ყველა კეთილი ნების ადამიანი, მას მიესალმება ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე.

უნგრეთი აქტიურად მონაწილეობს მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში. სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად უნგრელი ხალხი ცდილობს უწინარეს ყოვლისა შეინარჩუნოს მშვიდობა, შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, თავიდან აიცილოს ბირთვული ომის საშიშროება, არ დაუშვას შეიარაღების გადატანა კოსმოსში, მხარს უჭერს საერთაშორისო უშიშროების მრავალმხრივი სისტემის შექმნას.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესს, თქვა ი. კადარმა. დარწმუნებული ვარ, რომ სკკპ XXVII ყრილობაზე შემუშავებული მიზნების მნიშვნელობა სცილდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს. მათი მიღწევა ხელს შეუწყობს სოციალიზმის გაძლიერებას, მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას.

ამჟამად, განაცხადა ჟ. ბატმუნხმა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. მის გადაწყვეტას ისახავენ მიზნად საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები, მათ შორის ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღისაგან კაცობრიობის განთავისუფლების პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში.

◆ ინდოეთი

## რაჯივ განდის გამოსვლა

**დელი.** ინდოეთი საერთაშორისო ფორუმებზე აქტიურად უჭერს მხარს განიარაღებისა და აპარტეიდის სისტემის ლიკვიდაციის პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ მთელ რიგ სახელმწიფოებს ხელს არ აძლევს მისი პოზიცია თანამედროვეობის ამ უდიდეს საკითხებში. მათ არ სურთ აღიარონ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკა გახდა საერთაშორისო გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი და საჭიროებისამებრ შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს მათ ზეგავლენას. ეს ქალაქ ფარიდაბადში (ჰარიანის შტატი) გამოსვლისას განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ. ინდოეთი კვლავაც განაგრძობს წინსვლას დამოუკიდებელი განვითარების გზით და უცხოეთის სახელმწიფოებს უფლებას არ მისცემს დააბრკოლონ დასახული მიზნის მიღწევისაკენ მისი წინსვლა. ინდოეთის მთავრობის მეთაურმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ცდილობენ გააძლიერონ დაძაბულობა ინდოეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე. რესპუბლიკას ყველა შესაძლებლობა აქვს ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად. იმაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, რომ ინდოეთი დაემორჩილოს დიქტატს და მუქარას, აღნიშნა რ. განდიმ.

პრემიერ-მინისტრი შეეხო რა ქვეყანაში შინაპოლიტიკურ ვითარებას, შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გააქტიურდა გამთიშველი ელემენტების ხრიკები, გარკვეული ძალების ცდები გამოიყენონ ისინი ინდოეთის შესუსტებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო იყო პენჯაბის შტატში, სადაც მკვეთრად გაუარესდა ვითარება გამთიშველი ელემენტების გამოხდომათა გაძლიერების შედეგად გასულ თვეში, პრეზიდენტის მართვა-გამგეობის დაწესება. რ. განდიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მმართველობის მოქმედება გაგრძელდება პენჯაბის შტატში ტერორისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობის სრულ ლიკვიდაციამდე.

● ავღანეთი

## გრძელდება შერიგების პროცესი

**ქაბული.** ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური ხელისუფალნი განაგრძობენ იმ ჰუმანური ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ეროვნული შერიგების პროცესის დაჩქარება. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, გუშინ ამნისტიის შესახებ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად ყუნდუზის პროვინციაში პატიმრობიდან გაათავისუფლეს წინათ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის გასამართლებული ასზე მეტი კაცი.

ამ დღეებში პაკისტანიდან ნანგარჰარის პროვინციაში კიდევ 75 ავღანელი დაბრუნდა. იქ, საზღვარგარეთ, ისინი ბანაკ-რეზერვაციებში მათხოვრულად ცხოვრობდნენ, პაკისტანის ხელისუფლების, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოკალათებულ ავღანურ კონტრრევოლუციონერთა ბანდების მხრივ რეპრესიებს განიცდიდნენ.

მთავრობის საწინააღმდეგო ბევრი რაზმის ხელმძღვანელებმა შეიგნეს შეიარაღებული ბრძოლის შემდგომი განგრძობის უპერსპექტივობა და მშვიდობიან დიალოგს მართავენ სახალხო ხელისუფლებასთან. როგორც ცნობილი გახდა, კიდევ ერთმა ჯგუფმა 67 კაცის შემადგენლობით წინააღმდეგობა შეწყვიტა ჰერათის პროვინციის ჰურიანის მაზრაში. მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენასთან ერთად მაზრაში დაბრუნდა ავღანელთა 60 ოჯახი, რომლებიც წინათ დუშმანთა ტერორის გამო იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

9 ივნისი ● საკდესი იუწყება

# უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

## გაიხსნა „შვიდეულის" შეხვედრა

**ვენეცია.** 8 ივნისს ვენეციის ლაგუნის სან-ჯორჯო მაჯორეს კუნძულზე ფოტოგრაფებთან და ტელევიზიასთან ტრადიციული შეხვედრით ოფიციალურად გაიხსნა კაპიტალისტური ქვეყნების დიდი „შვიდეულის" თათბირი. იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელები სამი დღის განმავლობაში განიხილავენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები აწყდებიან. მათს განხილვას „შვიდეულის" ლიდერები დღეს შეუდგებიან სამუშაო სადილის დროს.

ჯერჯერობით მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ჟურნალისტებს არაფერს არ აცნობებენ. მაგრამ ის, რის შესახებაც მიმდინარეობს სჯა-ბაასი ყოფილ ბენედიქტეს მონასტერში დახურულ დარბაზში მიმდინარე თათბირზე, არავისთვის არ არის საიდუმლო: უპირველესი ყურადღება ეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა და განიარაღება. ამ დარგში ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია დღეს საკმაოდ გულახდილად ჩამოაყალიბა პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ფრენკ კარლუჩიმ გავლენიანი გაზეთის „კორიერე დელა სერას" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ვენეციის შეხვედრაზე განზრახული აქვს თავის მოკავშირეებს გაადიდებინოს შეიარაღების ხარჯები და მოსთხოვოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ მიმართულებით. კარლუჩიმ ისარგებლა შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ მოეხდინა გავლენა ამერიკის კონგრესზე და არ დაეშვა პენტაგონის ბიუჯეტის შემცირება ვაითუ, მოკავშირეებმა „ცუდში მოგვბაძონო". პრეზიდენტის თანაშემწემ კვლავ გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების არაკონსტრუქციული პოზიცია, რომლის არსი ის არის, რომ შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესი უნდა უკავშირდებოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, რეგიონული კონფლიქტები და ა. შ.

როგორც დასავლეთის პრესის ცნობებიდან და კომენტარებიდან ჩანს, ახლა განსაკუთრებული სიმწვავე ენიჭება მდგომარეობას სპარსეთის ყურეში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები ყოველნაირად ცდილობს შექმნას ავისმომასწავებელი სიტუაცია. ყველა გაზეთს პირველ გვერდზე აქვს გამოტანილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პენტაგონმა შეიმუშავა ირანზე „დამსწრები დარტყმების" მიყენების გეგმები. ქვეყნდება მასალები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავს უყრის ძალებს ამ რეგიონში. ამავე დროს გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ თავიანთი მოსკოველი კორესპონდენტების მასალებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა უარყო სამხედრო საშუალებანი როგორც ამ კონფლიქტის მოწესრიგების მეთოდი. „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი" დღეს ამ თემისადმი მიძღვნილ ცნობას აქვეყნებს სათაურით „საბჭოთა კავშირი არ აპირებს გაზარდოს თავისი ფლოტი სპარსეთის ყურეში".

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სწორედ ამ პოლიტიკურ საკითხებს დაეთმობა უმთავრესი ყურადღება სან-ჯორჯო მაჯორეს კუნძულზე მიმდინარე მოლაპარაკების პირველ დღეს. ამავე დროს გაზეთები განმარტავენ თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს მწვავე ეკონომიკურ პრობლემათა განხილვის პერსპექტივებს. გაზეთ „უნიტას" დღეს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს შემდეგი ციფრები: უმუშევრობის დონე დასავლეთ ევროპაში მტკიცედ გაჩერდა 11,5 პროცენტის დონეზე, და ამ მხრივ გაუმჯობესებას არ უნდა ელოდონ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი ოფიციალურად სჭარბობს 6 პროცენტს, მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ბევრ მიმომხილველს მიაჩნია, რომ სინამდვილეში იქ უმუშევრობა 10 პროცენტს აღწევს.

„უნიტა" აღნიშნავს, რომ იგივე პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგება იაპონიის წინაშეც, და ეს სერიოზულ სოციალურ კონფლიქტებს უქადის. ტოკიოში „შვიდეულის" წინა შეხვედრის შემდეგ დასავლეთს აშკარად გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, დასძენს გაზეთი.

აი, რას წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი": „ეს უკვე უმაღლესი დონის მე-13 შეხვედრაა და, როგორც ჩანს, ყველაზე იმედგამაცრუებელი. მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა ძალზე რთულად გამოიყურება და მისი პრობლემების გადაჭრის გზები არ არის ნათელი".

...დღეიდან ვენეცია ისე გამოიყურება, ალყაშემორტყმული ქალაქი გეგონება. გამოცხადებულია უშიშროების საგანგებო ღონისძიებანი: ყველგან დადიან მევტომატეები, ნაგაზების მგეზავი ჯარისკაცები, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული აგენტები, ქალაქისა და ლაგუნის თავზე გუგუნი გააქვთ პოლიციის ვერტმფრენებს.

**ა. გოლიაევი,**
**ნ. ტეტერინი,**
**ვ. ჩუქსეევი,**
საკდესის სპეც. კორ.

◆ არგენტინა

## ენერგეტიკოსთა ურთიერთობა

**ბუენოს-აირესი.** როგორც არგენტინის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მდინარე ურუგვაიზე მდებარე „სალტო-გრანდეს" ჰიდროენერგეტიკულმა კომპლექსმა მაისში აწარმოვა რეკორდული რაოდენობის ელექტროენერგია — მილიონ მეგავატსაათზე მეტი. ეს არის ძლიერი წყალდიდობებისა და ყველა აგრეგატის უნაკლო მუშაობის შედეგი. სადგურში კი 14 აგრეგატია და ყოველი მათგანი საბჭოთა კავშირმა მიაწოდა.

„სალტო-გრანდეს" სადგური საბჭოთა და არგენტინელი ენერგეტიკოსების თანამშრომლობის პირველი ობიექტი გახდა. ამას 1985 წელს მოჰყვა ბუენოს-აირესის „კოსტანერის" თბოსადგურის ენერგეტიკული ბლოკის საექსპლოატაციოდ გადაცემა. ტურბინი და გენერატორი სადგურში საბჭოური წარმოებისაა. ორთქლის ქვაბი კი სსრ კავშირის შეკვეთით დაამზადეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე საფრანგეთში საბჭოთა საგარეოსავაჭრო გაერთიანებებმა შეისყიდეს ზოგიერთი სხვა მოწყობილობა „კოსტანერისათვის".

საბჭოთა პარტნიორისადმი დიდი ნდობის დადასტურება გახდა ორი ახალი მნიშვნელოვანი კონტრაქტის — ქალაქ ბაია-ბლანკში თბოელექტროსადგურისა (იქ უკვე მიმდინარეობს მოწყობილობის დამონტაჟება) და ნეუკენის პროვინციაში „პიედრა-დე-აგილას" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კონტრაქტების დადება. პირველი დენს უკვე გამოუშვებს გაისად, მეორე კი 1990 წელს. ორივე ობიექტი მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

ნატოს ხელმძღვანელი წრეები სიტყვით განიარაღების მომხრენი არიან, საქმით კი ბირთვული და სხვა იარაღის ზრდის კურსს ადგანან. (გაზეთებიდან).




**ატლანტიკური უბედობა.** გ. ლომიძის ნახატი.

## ხელი მოაწერეს თანამშრომლობის პროგრამას

**ტრიპოლი.** აქ ხელი მოაწერეს ლიბიის ჯამაჰირიისა და საბჭოთა კავშირის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1987-1988 წლების პროგრამას. დოკუმენტი ითვალისწინებს განავითარონ ორმხრივი ურთიერთობა უმაღლესი და საშუალო განათლების და მეცნიერული კვლევის დარგში, ითანამშრომლონ კულტურის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სფეროში, გაცვალონ მწერალთა, ახალგაზრდათა, ქალთა და სპორტსმენთა დელეგაციები.

## ბირთვული გამოცდა ჩინეთში

**სტოკჰოლმი.** შვეციის თავდაცვის სამინისტროს გამგებლობაში შემავალმა სეისმოლოგიურმა სამსახურმა აღრიცხა ბირთვული აფეთქება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 150 კილოტონამდე სიმძლავრის ბირთვული მოწყობილობა აფეთქეს სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის ლობნორის საცდელ პოლიგონზე. ეს პირველი ბირთვული აფეთქებაა, რომელიც ჩინეთმა მოაწყო 1984 წლის დეკემბრის შემდეგ.

## მორიგი აფეთქება

**კანბერა.** კვირას საფრანგეთმა მორიგი ბირთვული აფეთქება მოაწყო წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში, მურუროას ატოლზე. სეისმოლოგიურმა სადგურმა, რომელიც კუკის კუნძულებზე მოქმედებს, აღრიცხა 2 კილოტონა სიმძლავრის მიწისქვეშა აფეთქება. ის უკვე მესამე ბირთვული გამოცდაა, რომელიც საფრანგეთის პოლიგონზე მოეწყო მიმდინარე წლის დამდეგიდან.

საფრანგეთი განაგრძობს ბირთვული იარაღის გამოცდას წყნარი ოკეანის ამ ატოლზე მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალია, ახალი ზელანდია და წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნული რეგიონის უბირთვო ზონად გადაქცევისათვის იღვწიან მტკიცე პროტესტს აცხადებენ. სულ ერთი კვირის წინ წყნარი ოკეანის სამხრეთის ქვეყნების ფორუმის მე-18 სესიამ კვლავ გამოთქვა დიდი შეშფოთება გამოცდის განგრძობის გამო და მოუწოდა საფრანგეთს შეწყვიტოს იგი. მაგრამ პარიზი კვლავინდებურად უგულებელყოფს ამ რაიონის ხალხთა ნებას, რომელიც მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული საფრანგეთის ტერიტორიას. საფრანგეთს განზრახული აქვს კვლავაც განაგრძოს ბირთვული პროგრამა და სწორედ ამიტომ თქვა უარი შეერთებოდა ხელშეკრულებას წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში უბირთვო ზონის შექმნის შესახებ (რაროტონგის ხელშეკრულება).

მურუროაზე ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტას მოითხოვენ აგრეთვე პროგრესული ფრანგი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. არსებული მონაცემების თანახმად მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა განგრძობას შედეგად მოსდევს ატოლის რღვევა და რადიაქტიულ ნივთიერებათა გაჟონვა.

**ტოკიო.** იაპონიის ქალაქ ნაგასაკის ხელისუფლებმა საფრანგეთის ტოკიოელ ელჩს გაუგზავნეს ოფიციალური წერილი, რომელშიც პროტესტს აცხადებენ მურუროაზე ბირთვული გამოცდის გამო. წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ქალაქის მერი ხიტოსი მოტოსიმა და მუნიციპალური კრების თავმჯდომარე მასარუ ტაგაგა, შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბირთვული აფეთქებანი, რომლებიც ძირს უთხრიან რეგიონის უშიშროებას.

სტიქია და ადამიანები

## ცხოვრება კალაპოტში დგება

**ამინდის** ჭირვეულობამ წელს დიდი უსიამოვნება მიაყენა დუშეთის რაიონს. წლის დასაწყისში თოვლმა იმძლავრა, ბარდნიდა განუწყვეტლივ. თეთრ სუდარაში ერთიანად გაეხვია მთები და ლარტაფები, ქალები და ხეობები. ზოგან თოვლის სიმაღლემ ორ მეტრს გადააჭარბა. მოძრაობა მარტო სოფლებს შორის კი არა, თვით მეზობლებს შორისაც გაჭირდა. ყოველივე ამას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია, ზვავებმა შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე ხევსურეთის სოფლებში ხახმატსა და დათვისში.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა სტიქიის ადამიანების სიმედგრე და შემართება დაუპირისპირეს, განსაცდელის ჟამს დუშელები მარტო არ იყვნენ. მათ გვერდში ედგა მთელი რესპუბლიკა. გრძნობდნენ რა რესპუბლიკის ხელმძღვანელების მზრუნველობასა და დახმარებას, ისინი მთელი შემართებით, საკუთარი სიცოცხლის რისკით უმკლავდებოდნენ განსაცდელს.

მაგრამ ყველაფერი ამით როდი დამთავრდა. ახლა, როცა მთებში თოვლი დნება, თანაც წელიწადის ამ დროს ხშირი წვიმები იცის, სტიქია კვლავ ახალი ძალით აბობოქრდა. ამჯერად ღვარცოფებად, მეწყრებად და ნიაღვრებად მოევლინა ამ მხარეს. ბუნების ამ უსამართლობის მსხვერპლი გახდა ეგრეთ წოდებული მთიულეთის არაგვის ხეობის კოპწია სოფელი ჩოხელნი.

მოვუსმინოთ საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანს, სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი რაიონული შტაბის უფროსს **ნუგზარ ოდიშვილს:**

— ეს შემაძრწუნებელი ამბავი სწორედ ზაფხულის პირველ დღეს — ზუსტად ღამის სამ საათზე მოხდა. სოფელი ღრმა ძილში იყო, უცბად ელვა და ჭექა-ქუხილი ატყდა. ამას მოჰყვა კოკისპირული წვიმა. ზღვის დონიდან 2.200 მეტრზე წარმოიქმნა ღვარცოფი, რომელიც სწრაფად დაეშვა მთიდან, თან წამოიღო დიდრონი ქვები, ლორღი, მიწა, უფრო ქვემოთ დათხარა ხეები და შეუტია სოფელს. მართალია, მთავარმა ნაკადმა სხვა მიმართულება აილო, მაგრამ ის, რაც ჩოხელნში შეიჭრა, საკმარისი აღმოჩნდა აუნაზღაურებელი ზარალი მიეყენებინა, უფრო სწორად ნასოფლარად ექცია იგი. მთლიანად დაინგრა რვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თავისი დამხმარე ნაგებობებიანად, 15 სახლი ისე დაზიანდა აღდგენა თითქმის შეუძლებელია. ყოველივე ამას სოფელი ადვილად გადაიტანდა, რომ უარესი ტრაგედია არ დატრიალებულიყო. ღვარცოფმა ყველაზე დიდი უბედურება დაატეხა თავს ფასანაურის 26-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ავტომანქანის მძღოლის ვალიკო ჩოხელის ოჯახს. დაიღუპა ოჯახის ექვსივე წევრი: ცოლი, ოთხი შვილი, ძმა. თავად ვალიკო ამ დროს თავის სამუშაო უბანზე იყო და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

სოფელ ჩოხელნში არის სხვა მატერიალური ზარალიც. მოსახლეობამ დაკარგა დიდძალი მარჩენალი პირუტყვი, განადგურდა საოჯახო ნივთები, პროდუქტების, პირუტყვის საკვების მარაგი და ა. შ.

სტიქია ჯერაც არ იყო დამცხრალი, რომ მთიულეთის არაგვის ხეობაში — უბედურების ადგილას დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მათ დაუყოვნებლივ მიიღეს ოპერატიული ზომები. მადლობის პირველი სიტყვები თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის მი-8 ვერტმფრენის ეკიპაჟის მეთაურის ზ. იკაევის, ეკიპაჟის წევრების მეორე მფრინავის გ. მეზვრიშვილისა და ბორტმექანიკოსის ნ. პოტაპოვის მისამართით ითქმის. რეისს რეისზე აკეთებდა ეს ეკიპაჟი. მათ უშიშარ ადგილებში გადაიყვანეს სოფლის მცხოვრებნი, რომელთათვის შექმნილია ნორმალური ცხოვრების ყველა პირობა. გამოყოფილია ავეჯით გაწყობილი დროებითი საცხოვრებელი ბინები. დაზარალებულთ სისტემატურად ეწევა სამკურნალო დახმარება, მომარაგებული არიან მედიკამენტებით და სურსათ-სანოვაგით. ყველას სათქმელი გუდამაყრის საბჭოთა მეურნეობის სარქალმა გ. ზაქაიძემ გამოხატა:

— მადლობა მათ, ვინც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთ გვერდში ამოგვიდგა, მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომლებიც დაინტერესებული არიან თითოეული ადამიანის ბედით, მათ გვიხსნეს განსაცდელისაგან.

თანადგომა და დახმარება მართლაც შესაშური იციან საბჭოთა ადამიანებმა. სტიქიით გამოწვეულმა უბედურებამ მთიულეთის არაგვის ხეობაში თავი მოუყარა ხალხსა და ტექნიკას. დაისახა დაზარალებულთა დასახმარებელი ოპერატიული ღონისძიებები, ფართო ფრონტით გაჩაღდა სამუშაოები სტიქიით გამოწვეული ზარალის ალსადგენად. დღედაღამ შეუფერხებლად მუშაობენ ბულდოზერები და გრეიდერები, სკრეპერები და მძლავრი ავტომანქანები. განსაკუთრებით თავგამოდებით იღვწიან დუშეთის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს, „მტკვარწყალმშენის" ტრესტის მე-11, 27-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნების, მეორე და მე-19 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოების, ბარისახოს 51-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის, დუშეთის საგზაო უბნის, ჟინვალის ჰიდროტექნიკური კვანძის მშენებლობის სამმართველოს, ჟინვალის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მე-13 და 23-ე საველე-სამშენებლო რაზმების კოლექტივები.

მეწყერმა და ღვარცოფმა მწყობრიდან გამოიყვანა აგრეთვე კავშირგაბმულობის მაგისტრალური საჰაერო ხაზი და მოსკოვთან დამაკავშირებელი მაგისტრალური კაბელი. გუდაურის მოსახლეობა და მშენებლობა აღმოჩნდა გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი. მისი აღდგენა დაევალა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს პირველ საექსპლოატაციო უბანს, რომლის კოლექტივი გულმოდგინედ იღვწის დაზიანების ალსაკვეთად და კავშირის უსწრაფესად აღსადგენად.

სტიქიის შედეგების დასაძლევად მართლაც ძალიან ბევრი რამ კეთდება. განსაკუთრებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს მოძრაობის აღდგენისათვის საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მარტო კილომეტრიან მონაკვეთზე ჩამოტანილია მილიონ-ნახევარი კუბური მეტრი ქვა, ლორღი და მიწა. ზოგან ღვარცოფით მოტანილი მასის სიმაღლე 6 მეტრს აღწევს. აქედან, ცხადია, რა დიდი სამუშაოებია შესასრულებელი. ზოგან მაღლდება მიწაყრილები, მზად არის აგრეთვე სამი ასაწყობი რკინაბეტონის ხიდი. ისინი დაიდგმება განსაკუთრებით საშიშ უბნებზე, რათა, თუ ღვარცოფები კვლავაც წარმოიქმნება, გზა ამ ხიდების ქვეშ გაიკვლიონ.

დუშეთის რაიონის კომუნისტები, მშრომელები სულით მუდამ ძლიერები არიან. — თქვა ბოლოს ნ. ოდიშვილმა. ისინი ამ გაჭირვების ჟამს კიდევ უფრო შეკავშირდნენ და ენერგიულად დაირაზმნენ, წარმატებით იმუშავებენ სტიქიით მიყენებულ იარას. ცხოვრება კალაპოტში დგება.

**დ. ბიწაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ყოველდღიური გმირობა

**სტიქია** და ადამიანები: ყოველდღიური გმირობა — ასე ეწოდება წიგნს, რომელიც შეადგინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ (საქინფორმი) 1987 წლის ზამთარში საქართველოზე თავსდატეხილ სტიქიურ უბედურებათა შესახებ მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოების პუბლიკაციებისაგან. მისი ყოველი ფურცელი დრამატული, ზოგჯერ ტრაგიკული, ამასთან იმ შფოთიანი დღეების გმირობით ალსავსე მოვლენათა უტყუარი ქრონიკაა.

ეს წიგნი — ჟურნალისტთა კოლექტიური შრომის ნაყოფი — წინასწარ ჩაფიქრებული არ ყოფილა, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც მკითხველისადმი სარედაქციო კოლეგიის მიმართვაშია ნათქვამი, იგი იქმნებოდა თანდათან, ყოველდღიურად. მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოქვეყნებული პარტიული და მთავრობის დოკუმენტებით, ცნობებით, დეპეშებითა და წერილებით, რეპორტაჟებით, კორესპონდენციებითა და ფოტოსურათებით ხორცი ესხმებოდა საოცრად მთლიან და ამაღელვებელ დოკუმენტურ მოთხრობას საბჭოთა ხალხის გმირობის, კაცთმოყვარეობის, თავდადებისა და შეკავშირების, მისი ღრმა ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა და ზნეობრივი სიდიადის შესახებ.

ამ უხვად ილუსტრირებული წიგნის ფოტოსურათთა შორის არის ერთი, რომელიც შეუძლებელია არ შენიშნოთ: მთიელ კაცს მკერდზე მიბნეული აქვს შავარშიაშემოვლებული ხუთი სურათი. ოჯახის მეექვსე წევრის ფოტო ვერ იპოვა... აქ ასეთი რამეც არის: რესპუბლიკაზე თავსდატეხილი სტიქიური უბედურების გამო ქართველ ხალხს თანაგრძნობას უცხადებენ აზერბაიჯანელი ჭაბუკის რაჰიპ მამედოვის დამწუხრებული მშობლები, რომელთა შვილმაც ოცდაორვა კაცის სიცოცხლე იხსნა და თავად კი დაიღუპა. ან როგორ არ გაიხსენებ სტრიქონებს ამ წიგნში მოყვანილი წერილიდან, რომელიც ჟურნალისტს გადასცა სოფელ საგვიჩიოს უსახლკაროდ დარჩენილმა ხანდაზმულმა მკვიდრმა ჟუჟუნა ჭრიქაშაძემ: „უამბეთ, შვილო, ყველას, რა კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთ. დაე, ყველამ იცოდეს, ყველას აცნობეთ..."

წიგნში აღწერილმა მოვლენებმა, ფაქტებმა გვიჩვენა სტიქიის ძალაც, და მასთან ბრძოლაში ადამიანების შეუპოვრობაც. წიგნის ყველაზე დიდი ღირსებაა ქვეყნის ყველა კუთხიდან მშრომელთა მიერ გამოგზავნილი გულითადი წერილების, დეპეშების, ტელეფონოგრამების სტრიქონები.

წიგნი „სტიქია და ადამიანები: ყოველდღიური გმირობა" უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში (სულ რაღაც ერთ თვეში) გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ". იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გამომცემლობის სტამბაში.

წიგნის ავტორთა, შემდგენელთა და რედაქტორთა კოლექტივმა ჰონორარი მთლიანად გადარიცხა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

## ვაზს უჭირს, ვაზს!

**თელავის** რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის მშრომელები სიხარულით შეჰყურებდნენ რქადაყრილ ზვრებს. შრომის ბრიგადული ორგანიზაციის მეოხებით აქ ვადაზე გაცილებით ადრე დაამთავრეს საგაზაფხულო სამუშაოები, მოაწყვეს შხამქიმიკატებით პირველი დამუშავება და.. ვენახებს თავს დაატყდა სეტყვა და მთლად ჩამოსხიპა ახლად მტევანგამონასკვული ყლორტები. 692 ჰექტარი ვენახის თითქმის ნახევარი დაისეტყვა, ძლიერ დაზარალდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც.

მაგრამ გული როდი გაუტყდათ კოლმეურნეებს. მეორე დღესვე ყველანი ვენახებს შეესივნენ. მოაშორეს დაზიანებული რქები, ზოგიერთ ნაკვეთში ვაზი ხელახლა გასხლეს და შემდეგ შაბიამნით უმკურნალეს, რათა მცენარემ „ჭრილობები" მოიშუშოს. აქაური ნაყოფიერი მიწა იმდენად „ღონიერია", რომ სათანადო მოვლის შედეგად ვაზს შეუძლია ნაწილობრივ აანაზღაუროს ზარალი მიძინებული მეორეული კვირტების გამოღების გზით.

ამიტომ ახლა კონდოლელები გაძლიერებით ამუშავებენ ზვრებს ისეთი მრისხანე დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატებით, როგორიც ნაცარია. ინტენსიურად წარმოებს მეორედ შეწამვლა. ყველა საწარმოო ბრიგადაში აქვთ ხსნარისათვის სპეციალურად მოწყობილი ავზები. ამასთან, თითოეული მათგანი ხუთი განყოფილებისაგან შედგება. ამის მეოხებით აქ არ ფერხდება შაბიამნის შესხურება, არ ელიან ხსნარის მომზადებას, რამდენადაც, როგორც კი იგი ერთ განყოფილებაში დამთავრდება, ხსნარმზიდები გადაჰყავთ მეორე განყოფილებაში, სადაც უმალ მზადდება ახალი ხსნარი. მუშაობის ასეთი ორგანიზაციის მეოხებით მექანიზატორები დღეში ხარჯავენ 200-220 ტონა ხსნარს, თუმცა წინა წლებისაგან განსხვავებით აგრეგატები ყოველ მწკრივს ცალკე წამლავენ, რათა უკეთ დაამუშაონ თითოეული ვაზი და მინიმუმამდე შეამცირონ დანაკარგები.

(საქინფორმი).

## შვეციაში, ფესტივალზე

# სახალხო თეატრის წარმატება

ზესტაფონი. (საკ. კორ.) ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრის კოლექტივი დაბრუნდა შვეციიდან, სადაც ირლანდიელ სცენისმოყვარეებთან ერთად მიწვეული იყო შვეციის ქალაქ ვესტეროსის თეატრალურ ფესტივალზე, რომელსაც ტრადიციულად მართავს სკანდინავიის ქვეყნების მოყვარულთა თეატრების ასოციაცია.

ზესტაფონის სახალხო თეატრის არჩევანი განაპირობა მექსიკის მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალში 1984 წელს მოპოვებულმა გამარჯვებამ, რომელიც წილად ხვდა ნ. დუმბაძის ნაწარმოებს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

შვედებმა სახალხო თეატრის რეპერტუარიდან სწორედ ეს სპექტაკლი ამოირჩიეს. ზესტაფონელმა სცენისმოყვარეებმა დამაჯერებლად მიიტანეს მაყურებლამდე ნაწარმოების ჰუმანური სული, ჯანსაღი იუმორი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.

აი, რას წერდა ყოველდღიური შვედური გაზეთი „ვესტმანლენდს ტინდინგი“: ეს ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია, რომელიც კი ფესტივალზე ვნახეთ. ტრადიციის ერთგულება, მშვენიერი მუსიკა, პლასტიკური სცენები და მსახიობთა მიმიკა შლის ენობრივ ბარიერს და ყველაფერს გასაგებს ხდის. ფეხზე ამდგარმა მაყურებელმა დამსახურებულად გაუმართა ოვაცია ქართველ მსახიობებს. აქვე გაზეთი ათავსებს სპექტაკლის ერთ-ერთი სცენის ფოტოს, ასევე ქება შესხა სპექტაკლს გა-




ზეთმა „ვესტერ როუმ“ რეცენზიაში „საბჭოთა თეატრის წარმატებებს ოვაციით შეხვდა შვედი მაყურებელი“.

წარმატება განსაზღვრა სახალხო თეატრის რეჟისორის რ. აბესაძის, მსახიობების ზ. წაქაძის, ლ. კახნიაშვილის, ბ. ბეგალიშვილის, ნ. აბესაძის, ზ. ასათიანის, ე. ბეჟუაშვილის, ნ. შიუკაშვილის, ო. გველესიანის ენთუზიაზმმა და შრომისმოყვარეობამ, რომელთაც სწორ მიმართულებას აძლევდა სახალხო თეატრის კონსულტანტი და ამ სპექტაკლის დამდგმელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რეჟისორი ა. ქუთათელაძე.

მოგზაურობიდან მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნებული კოლექტივი მალე შეუდგება ახალ სპექტაკლზე მუშაობას. სექტემბერში კი, მასპინძლობა და შემოქმედებითი მეტოქეობა უნდა გაუწიოს ზესტაფონში გამართული სახალხო თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე შვედ სცენისმოყვარეებს.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



# მეცნიერის დიდი გზა

პეტრე ქომეთიანის დაბადების 85 წლისთავის გამო

ახლახან ჩვენმა საზოგადოებამ აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავი. ამ ინსტიტუტმა ქართველ მეცნიერთა თაობები აღზარდა. აქ მიეცა დასაბამი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო სკოლებს. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსებიდანვე ივანე ბერიტაშვილს მხარში ედგნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ბრწყინვალე გონებით და ფართო მეცნიერული ინტელექტით საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას. დღეს, როცა ცხოვრებამ ბიოლოგიის მეცნიერებათა ახალი მიმართულებების განვითარება მოითხოვა, როცა საჭირო გახდა ცოცხალ არსებათა მოლეკულური მექანიზმების შესწავლა, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ მკვლევართა ღვაწლი, რომლებიც ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ცდილობდნენ ამ პრობლემათა გადაწყვეტას, ერთ-ერთი ასეთი მეცნიერი იყო ბერიტაშვილის თანამოაზრე და მეგობარი, აკადემიკოსი პეტრე ქომეთიანი, რომელიც სამართლიანად ითვლება საბჭოთა ბიოქიმიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

სამეცნიერო საქმიანობას პ. ქომეთიანმა სტუდენტობიდანვე მოჰკიდა ხელი საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობისას. 1928 წელს იგი უკვე ლექციებს კითხულობს ბიოქიმიაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე და ერთდროულად ხელმძღვანელობს ცხოველთა ბიოქიმიის ლაბორატორიას მეცხოველეობის ინსტიტუტში. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდანვე იგი სათავეში უდგება ბიოქიმიის ლაბორატორიას, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ამავე დროს აყალიბებს ბიოქიმიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1983 წლამდე მოღვაწეობს.

ცხადია, ეს მუნწრად გადმოცემული ბიოგრაფიული ცნობები ვერ ასახავს იმ რთულ, წინააღმდეგობებით თუ გამარჯვებებით აღსავსე გზას, რომელიც მეცნიერმა განვლო. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც მან დასდო საბჭოთა ბიოქიმიური სკოლის განვითარებას. აკადემიკოს პ. ქომეთიანის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირში ნეიროქიმიკოსთა სკოლის დაარსება. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი მონოგრაფია, სამასზე მეტი ნაშრომი ბიოქიმიის, ნეიროქიმიის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ბიოქიმიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. პ. ქომეთიანის ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. მეცნიერების მხურვალე პროპაგანდისტი პ. ქომეთიანი მრავალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო. არაერთგზის აირჩიეთ იგი ნეიროქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების გამგეობისა და სსრ კავშირის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად. მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებას, მონაწილეობდა საკავშირო და უცხოური ჟურნალების რედკოლეგიების მუშაობაში. ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, „ოქტომბრის რევოლუციის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ფართო ერუდიციის ბიოქიმიკოსი არასოდეს შემოფარგლულა თავისი ვიწრო სპეციალობით. წლების მანძილზე მისი ინტერესების სფერო მოიცავდა მრავალ ბიოლოგიურ ობიექტს, პრიმიტიული ბაქტერიებით დაწყებული და ევოლუციის მწვერვალზე მდგომი ორგანიზმებით დამთავრებული. იგი ისევე გულდასმით შეისწავლიდა საფუარებში სპირტული დუღილის პროცესებს, როგორც უმაღლესი ნერვული მოქმედების დროს ტვინში მომხდარ ბიოქიმიურ ძვრებს.

ნამდვილად ძნელია პ. ქომეთიანის ხელმძღვანელობით შესრულებული ყველა სამუშაოს ჩამოთვლა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დიდი წვლილი მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლაში. საქვეყნოდ არის აღიარებული პ. ქომეთიანის მოსაზრება, რომ ინფორმაცია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიიღება, ინახება და კვლავ გრძელდება დინამიკური პროცესის სახით ნერვულ უჯრედთა მთელ ანსამბლში, და ეს პროცესი ხდება ნეიროგადამცემებისა და გენეტიკური აპარატის მეშვეობით. დღესაც საოცრად აქტუალურია მისი ნაშრომები ქსოვილებში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ცვლის შესახებ.

პ. ქომეთიანი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო. მან კარგად იცოდა კლასიკური გერმანული ფილოსოფიაც და ძველი ელინისტური კულტურის ისტორიაც, დაჯილდოებული იყო ფართო მეცნიერული თვალთახედვითა და მძლავრი ინტელექტით, რაც ესოდენ აუცილებელია ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა სწორი შემეცნებისათვის. პ. ქომეთიანი არასოდეს ყოფილა ჩვენს მეცნიერულ ცხოვრებაში მომხდარი კატაკლიზმების გულგრილი მეთვალყურე, მას ყოველთვის პრინციპული, ჭეშმარიტად მეცნიერული პოზიცია ეკავა. იგი დაუღალავად, შესაშური ენერგიითა და ხალისით შრომობდა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

მისთვის, საოცრად თავმდაბალი, მოკრძალებული პიროვნებისათვის სრულიად უცხო იყო პატივმოყვარეობა, სიყალბე, პოზა და ყოველთვის ირონიით უყურებდა ამ სენით შეპყრობილ ადამიანებს. იგი ისეთსავე პასუხისმგებლობას გრძნობდა მშობლიურ ქალაქს მოწყვეტილი ხელმოკლე ასპირანტის ბედისათვის, როგორც მსოფლიოში ეროვნული მეცნიერების პრესტიჟისა და პოპულარიზაციისათვის.

აკადემიკოს პეტრე ქომეთიანის მრავალრიცხოვანი მოწაფეები და თანამოაზრენი სიყვარულითა და უდიდესი მოწიწებით მიაგებენ პატივს დიდი მეცნიერისა და შესანიშნავი მოქალაქის ხსოვნას.

დ. მიქელაძე,
ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

# სამეცნიერო სესია

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XXII სამეცნიერო სესია, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა. სესია მიმდინარეობდა ინსტიტუტის ბაზაზე, მაგრამ თავისი შემადგენლობით რესპუბლიკური იყო, ვინაიდან მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლები (ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი, მუზეუმი ღია ცის ქვეშ).

სესიაზე მოხსენებათა თემატიკა მრავალფეროვანი იყო.

სესიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერებმა საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში ყვავილებით შეამკეს ილია ჭავჭავაძის საფლავი, შემდეგ კი იყვნენ ყვარელში. („კომუნისტის“ კორ.).

# გაიხსნა მწერლის მემორიალი

ალიო ადამია 30-იან წლებში მოვიდა ქართულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, პოემა, პროზაული ნაწარმოები, რომლებიც არაერთხელ გამოიცა ცალკე წიგნებად. შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში დაწერა რომანები „დიდი და პატარა ეკატერინე“, „სიკვდილი ერთი დღით ადრე“. ეს ნაწარმოებები პოპულარულია ჩვენში და ითარგმნა სხვა ენებზეც. განსაკუთრებით დაახსომდა ჩვენს მკითხველებს ნარკვევები საჭირბოროტო საკითხებზე. ალიო ადამია იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე, მუშაობდა ჯერ „ახალგაზრდა კომუნისტის“, შემდეგ „კომუნისტის“ რედაქციებში, გამომცემლობა „ხელოვნებაში“, ხოლო 1968 წლიდან სიკვდილამდე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი რედაქტორი იყო.

ამ დღეებში თბილისში, იმ სახლზე, სადაც მწერალი ცხოვრობდა, გაკეთდა მემორიალური დაფა. სახელდახელო მიტინგზე პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, მწერლებმა ვახტანგ ჭელიძემ, ელგუჯა მაღრაძემ, ჟურნალისტმა ბორის ნანიტაშვილმა გულთბილად გაიხსენეს ალიო ადამიას შემოქმედებითი გზა, მისი ნათელი ადამიანური თვისებები.

ც. ჩხეიძე.

# მძღვნება პუშკინს

ივნისი „რუსული პოეზიის მზის“ ა. პუშკინის თვეა.

მოსკოვში, მანეჟის მოედანზე, ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ა. პუშკინს ეძღვნება.

გამოფენის ექსპონატებს შორის არის სანქტ-პეტერბურგში 1811 წელს გამოცემული „ქართველი ერის ისტორიის მიმოხილვა“ და 1813 წელს საზღვაო სტამბაში დაბეჭდილი „თავად პ. ი. ბაგრატიონის უკანასკნელი დღეები“. პუშკინმა იცოდა ჩვენი ერის წარსული, პუშკინი კითხულობდა საქართველოს ისტორიას.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ზ. წერეთელმა თერთმეტი ფერწერული ნამუშევარი გამოფინა.

პუშკინი და გრიბოედოვი... როგორ არ გავიხსენოთ აქ კომპოზიტორ ი. გლინკას მოგონება: „ეს ეროვნული ქართული მელოდია გრიბოედოვმა გადმომცა. პუშკინმა შემთხვევით გაიგონა ეს ჰანგი და დაწერა თავისი უკვე ყველასათვის ცნობილი ლექსი“. ეს ჩანაწერი გლინკამ თავისი რომანსის დედანზე გააკეთა. ასე იშვა პუშკინის პოეზიის მუსიკალური შედევრი „ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო“... ლექსის ჟღერადობამ და ლირიკულმა ტონმა გლინკას შემდეგ კიდევ ბევრ კომპოზიტორს ააღერებინა ეს უკვდავი სტრიქონები.

ეს ლექსი და საქართველოს თემაზე შექმნილი სერიალი — „საქართველოს მთებზე“, „ზვავი“, „დელი ბაში“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „კავკასიონი“ ბ. ბელინსკის ხატოვანი გამოთქმით პუშკინის ლირიკული პოეზიის განუმეორებელი შედევრებია...

ვდგავართ ქართველი მხატვრის ნამუშევრებთან... რა სიმბოლურია ის ფაქტი, რომ რუსული პოეზიის გენიას გვერდს უმშვენებენ მისი დიდი თანამედროვეები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს რუსეთ-საქართველოს შემოქმედებითი მეგობრობის ისტორიაში. გრიბოედოვი, გლინკა და... მაიაკოვსკი, რუსული პოეტური კულტურის შთამომავალი და გამგრძელებელი ნოვატორი...

ზღვა ხალხია პუშკინისადმი მიძღვნილ ვერნისაჟზე...

დ. მაჭავარიანი.
ქ. მოსკოვი.

## ფოტოინფორმაცია



# დამზადებულია უნგრეთში

ზუსტად ათი წლის შემდეგ თბილისელებსა და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და უნივერსალური მაღაზიების მოწყობილობის სიახლეებს მარკით „დამზადებულია უნგრეთში“. 8 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა იმ საქონლის გამოფენა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში გზავნის უნგრეთის საგარეო-სავაჭრო საწარმო „ტრანსელექტრო“.

გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ა. მოვსესიანმა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. გოგლიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# „მერი პოპინსის“ ახალი ასპარეზი

თბილისელებს კარგად ახსოვთ ნანა ხატისკაცის მიერ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული მიუზიკლი „მერი პოპინსი“, რომელმაც დიდხანს იცოცხლა მოზარდთა სცენაზე, ახლა რეჟისორმა პ. ტრავერსის ეს ნაწარმოები (მუსიკა რობერტ და რიჩარდ შერმანებისა) რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განახორციელა. სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს ი. გეგეშიძეს, ქორეოგრაფია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ზარეცკი, სპექტაკლში როლებს



ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. კვერენჩხილაძე (მერი პოპინსი), გ. თურქიაშვილი (მისტერ ბანქსი), ი. ნინიძე (მისის ბანქსი), ლ. ალიბეგაშვილი (ჯეინი), ნ. ბრეგვაძე (მაიკლი), გ. ბაქრაძე (მისის ბრიდლი), დ. სუმბათაშვილი (ელინი), ფ. გულედანი (რობერტსონ ეი), გ. ძნელაძე (პოლისმენი და ქუჩის მომღერალი), ქ. თავართქილაძე (ბიძია ალბერტი), ნ. არჩვაძე (მისის ენდრიუ), ბ. დვალიშვილი (კატა) და სხვები.

სურათზე: ზ. კვერენჩხილაძე მერი პოპინსის როლში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

## ყაბახი

# საჯარიმო დარტყმა

ხულიგანი ფეხბურთელები სასამართლოს წინაშე წარდგებიან

მიმდინარე წლის 31 მაისს მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს სტადიონზე გაიმართა მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საქართველოს ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დვაბზუსა“ და ჩოხატაურის „ბახმაროს“ შორის. უნდა ითქვას, რომ წლევანდელ სეზონში რამდენადმე იკლო ფეხბურთელთა უდისციპლინობამ, ბევრგან სტადიონებზე წესრიგი დამყარდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მატჩების დროს ინციდენტები კვლავ ხდება და, ცხადია, საფეხბურთო მოედნებზე წესრიგის დამყარებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ უამრავი ნაკლი გვაქვს. ამიტომაც, ადგილებზე ფეხბურთელთა კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და დისციპლინის დამყარებისათვის გაცილებით ქმედითი და მიზანდასახული მუშაობა გვმართებს. ამაზე ყურადღებას თუნდაც იმიტომ ვამახვილებთ, რომ ზემოხსენებული მატჩის დამსწრენი აღმაშფოთებელი ფაქტის მოწმენი გახდნენ: „დვაბზუსა“ და „ბახმაროს“ მატჩი 88-ე წუთზე შეწყდა და არ განახლებულა. ყოველივე ეს მოხდა იმიტომ, რომ „ბახმაროს“ ფეხბურთელებმა უსამართლოდ მიიჩნიეს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, სოხუმელი ზ. მილჩენკოს მიერ „ბახმაროს“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ამ დროს ანგარიში იყო 3:2 სტუმართა სასარგებლოდ. ბახმაროელები შემოეხვივნენ მატჩის არბიტრს, ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ და პენალტის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინათ. როცა ამან არ გაჭრა, „ბახმაროს“ ფეხბურთელებმა თ. ძნელაძემ და ა. მეჩხიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა და გაამწვავა. ჩოხატაურელი ფეხბურთელები ვერც მათმა მწვრთნელმა გ. თოდრიამ დააშოშმინა და ბოლოს ის მოხდა, რომ არბიტრმა მატჩი აღარ გააგრძელა.

ყოველივე ამის მოწმენი იყვნენ ჩოხატაურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ჩხიკვაძე, პარტიის მახარაძის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი თ. ხარაიშვილი, დვაბზუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ღლონტი და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ტ. მახარაძე. ოღონდ ეს არის, სტადიონზე არ იყვნენ მილიციის თანამშრომლები, ვინაიდან მილიციის განყოფილება მატჩზე დასწრების თაობაზე არავის გაუფრთხილებია! ის რამდენიმე კი, სულ ოთხი კაცი, რომლებიც სტადიონზე იმყოფებოდნენ, ცხადია, ვერ უზრუნველყოფდნენ მაყურებელთა წესრიგს.

ეს ყოვლად შეუწყნარებელი და აღმაშფოთებელი ფაქტი საქართველოს სპორტსახკომმა თავის კოლეგიაზე ოპერატიულად განიხილა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო: ჩოხატაურელ ფეხბურთელთა მოქმედება უმსგავსოების გამოვლინებად შეფასდა, გუნდს დამარცხება ჩაეთვალა, ფეხბურთელებს თ. ძნელაძესა და ა. მეჩხიას ხულიგნური მოქმედებისათვის თამაში აეკრძალათ და მახარაძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების წინაშე დაისვა საკითხი მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ჩოხატაურის „ბახმაროს“ ფეხბურთელთა გუნდში სასწავლო-სპორტული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის მწვრთნელ თოდრიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ამ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დ. ჩხიკვაძეს გუნდის მიმართ კონტროლის შესუსტებისათვის გამოეცხადა საყვედური. რაც შეეხება დვაბზუს სტადიონს, თამაშის არაორგანიზებულად გამართვისათვის ორი კალენდარული მატჩით მიეცა დისკვალიფიკაცია. სტადიონი დისკვალიფიცირებულია აგრეთვე პირობით 1987 წლის ბოლომდე. კოლეგიამ ცნობად მიიღო, რომ საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო 20 ივნისამდე შეისწავლის გუნდში სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას, გუნდის ფინანსურ საქმიანობას და მიიღებს ქმედით ზომებს. ჩვენი რედაქცია კი, თავის მხრივ, ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდება და მკითხველებს დამატებით გააცნობს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

აი ასეთია მოკლედ დვაბზუს სტადიონზე მომხდარი ხულიგნური საქციელისა და უწესრიგობის ამბავი, ფეხბურთელები მკაცრად დაისჯებიან და ეს გაკვეთილი უნდა გახდეს საქართველოს სხვა გუნდების წევრებისათვისაც. ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ საფეხბურთო მოედნებზე დისციპლინის დარღვევებსა და ხულიგნურ მოქმედებას არავის აპატიებენ.

ს. დევიძე.

## ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება

# მედალი სიახლისათვის

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა წარმოებაში დანერგილი სტუდენტთა მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების მუდმივი გამოფენა.

ფართო ნათელი დარბაზი, სადაც გამოფენა გაიხსნა, მოთავსებულია სკმს-ს მეზობლად, — ასე ეწოდება შემოკლებით უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭოს. მისმა ხელმძღვანელმა, დოცენტმა ნიკო ჩხაიძემ ექსპოზიციის შესახებ საუბარი სასიამოვნო ახალი ამბით დაიწყო — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი მიენიჭა სტუდენტთა სამეცნიერო წრის ნამუშევარს. საბჭო ამ შვიდი წლის წინათ შეიქმნა ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოტექნიკის კათედრასთან.

— ჯილდოს ამბავი ამ რამდენიმე დღის წინათ შევიტყეთ, — თქვა მას, და ერთ-ერთ მაკეტთან მიგვიყვანა, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ სტუდენტები.

ჩვენ მათ გავეცანით და ჯილდო მივულოცეთ. უფროსკურსელები გია გელბაკიანი, გია ხარშილაძე, თემურ ცერცვაძე გაზგენერატორების ზედაპირის გაწმენდის იმ ახალი მეთოდის ავტორები არიან, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა დააჯილდოვეს.

წრეში, რომელსაც უფროსი მასწავლებელი ავთანდილ გიორგობიანი ხელმძღვანელობს, ბიჭები პირველი წელი როდი მონაწილეობენ. პრაქტიკულად, ყველა თემის დამუშავება დაკავშირებულია წარმოების კონკრეტულ პრობლემებთან. ექსპერიმენტებისა და დანერგვის „პოლიგონად“ იყენებენ „საქმთავარენერგოს“ სარემონტო საწარმოს.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილია ასამდე ნამუშევარი, რომლებიც ინსტიტუტის სტუდენტებისა და მასწავლებლების შემოქმედებითი თანამშრომლობით არის შექმნილი ამ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში. მათი უმრავლესობა დანერგილია ან დასანერგად მზადდება. სულ კი ამჟამად 270 თემაზე მუშაობენ.

ციფრები, რომლებიც მოწმობენ უმაღლესი სასწავლებლისა და წარმოების კავშირის განმტკიცებას, შთამბეჭდავია, შეესაბამება თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს. სამრეწველო საწარმოები ექსპერიმენტებისათვის სთავაზობენ თავიანთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკოსი სპეციალისტები ეხმარებიან სწორი კალაპოტით წარმართონ კვლევითი მუშაობა. ახლა იშვიათი აღარ არის ერთობლივი კონფერენციები, განხილვა, სემინარები. ერთ მათგანს — „სტუდენტი და წარმოება“ — მომავალი ენერგეტიკოსები წელიწადში ორჯერ აწყობენ დარგის სპეციალისტებთან ერთად. სტუდენტებთან თანამშრომლობით დაინტერესებული არიან: მარტო ერთი ნამუშევრის დანერგვა, მაგალითად, თბილისის თბოელექტროცენტრალში, ყოველწლიურად 130 ათას მანეთზე მეტ ეკონომიკურ მოგებას იძლევა.

ენერგეტიკის ფაკულტეტის წრის მუშაობის გამოცდილებაზე ჩხაიძე შემთხვევით როდი ლაპარაკობს. აქ აქტიურად იყენებენ წარმოებასთან კავშირის ახალ ფორმებს. მაგალითად, „საქმთავარენერგოში“ სტუდენტები წინანდელივით პრაქტიკიდან პრაქტიკამდე როდი გამოჩნდებიან ხოლმე. დანერგვით დასაქმებული სტუდენტების ნაწილი გადაყვანილია სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე და სტიპენდიის დამატებით ისინი საწარმოდან ხელფასსაც იღებენ.

არსებობის შვიდი წლის მანძილზე წრემ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების საავტორო ლიცენზიების მდიდარი „მოსავალი“ მოიწია.

— საშუალოდ, — აზუსტებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭოს ხელმძღვანელი, — ჩვენს სტუდენტებზე ისინი ყოველწლიურად ოცდახუთი მოდის. გვაქვს პუბლიკაციები სამეცნიერო გამოცემებში, მათ შორის საზღვარგარეთაც.

(საქინფორმი).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია: რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66,10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-68.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე—2-08-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 25-82; სამტრედია — 45-32.

ამ დევიზით მიმდინარეობს პლაკატის რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც სექტემბრამდე გასტანს. კონკურსის ორგანიზატორები არიან სიფხიზლისათვის ბრძოლის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რესპუბლიკური საზოგადოებები, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, გამსახკომი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

კონკურსის მიზანია ხელოვნების მაღალმხატვრული პლაკატების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის როგორც სოციალურად საშიში ბოროტების დაძლევისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტას. კონკურსი ხელს

# სიფხიზლე სოციალისტური ცხოვრების ნორმაა!

შეუწყობს აგრეთვე ანტიალკოჰოლური პლაკატის შექმნისათვის შემოქმედებითს მუშაობაში პროფესიონალი და თვითმოქმედი მხატვრების, სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტების ჩაბმას.

კონკურსის თემატიკა მოიცავს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის პრობლემის ყველა ასპექტს.

კონკურსზე უნდა წარმოადგინონ ნებისმიერი ტექნიკით და მასალით, პრესისათვის გამოსადეგი სახით (ოფსეტური ხერხით), მყარ საფუძველზე შესრულებული 70X100 სანტიმეტრი ფორმატის პლაკატების ორიგინალები. პლაკატს უკან უნდა ჰქონდეს შიფრი: ასო და ხუთნიშნა რიცხვი. ნამუშევარს თან უნდა ჰქონდეს დართული დაბეჭდილი კონვერტი, რომელშიც ასევე აღნიშნული იქნება ეს შიფრი. კონვერტში უნდა იდოს აგრეთვე ფურცელი, რომელზეც წერია ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება, სად მუშაობს ან სად სწავლობს, რომელ შემოქმედებითს კავშირს ეკუთვნის (მხატვართა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა), აგრეთვე ინდექსი და ზუსტი საფოსტო მისამართი (ყველა მონაცემი სრულად უნდა იყოს აღნიშნული).

საკონკურსო ნამუშევრები როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტივების სახით შეიძლება გამოგზავნონ შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, კოლექტივებმა, ახალგაზრდულმა გაერთიანებებმა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ჯგუფებმა და სხვებმა. პლაკატები კონკურსზე უნდა წარმოადგინონ 1987 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით. პლაკატების გამოგზავნის თარიღი განისაზღვრება გამოგზავნის საფოსტო შტემპელის მიხედვით. ნამუშევრები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: რუსთაველის პროსპექტი, 7, საქართველოს მხატვართა კავშირი.

კონკურსზე გამოგზავნილი პლაკატების გამო რეცენზია არ იწერება და უკან არ იგზავნება, მაგრამ ავტორს ან ნდობით აღჭურვილ პირს უშუალოდ შეუძლიათ მიიღონ იგი კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტში მიმდინარე წლის დამლევამდე. საუკეთესო პლაკატებს მიეცემათ რეკომენდაცია პლაკატის საკავშირო კონკურსში — „სიფხიზლე სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმაა!“ — მონაწილეობისათვის და რესპუბლიკური გამომცემლობის გეგმაში შესატანად. რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულებისათვის დაწესებულია პრემიები: პირველი—500 მანეთი, მეორე—300 მანეთი, მესამე — 200 მანეთი. (საქინფორმი).

## მოსკოვი

10 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მხატვრული ტელეფილმი „ანკარას გვირგვინი“. I და II სერია. 11.25 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. დოკუმენტური ტელეფილმი. 18.05 — „გამარჯობა, მუსიკა!“. 18.35 — ახალი ამბები. 18.40 — სპორტი და პიროვნება. ნ. კოროლიოვი. 19.10 — ფოტოკონკურსი „ჩემი საყვარელი სამშობლო“. 19.15 — ადამიანი და კანონი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.35 — „ორი თვალსაზრისი ერთი კაბინეტიდან“. ტელესპექტაკლი და საზოგადოებრივი აზრი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ანკარას გვირგვინი“. II სერია. 23.50 — კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. შესვენებისას (0.10) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „დიდი მდინარის ნაპირებზე“. 9.40 — ფილმ-კონცერტი „კუზიანი ცხენი“. 11.10 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 11.25 — ეს ფანტასტიკური სამყარო. მხატვრული ტელეფილმი „რობოტებთან არ ხუმრობენ“. 12.45 — გერმანული ენა. 13.15 — მულტფილმები. 13.50 — „გამოგვეხმაურეთ, მებუკეებო!“. 14.35 — საჭადრაკო სკოლა. 15.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სოფლის საათი. 20.15 — ა. არენსკი — „სილუეტები“. 20.30 — ფეხბურთი. „ტორპედო“ — „ჟალგირისი“. მე-2 ტაიმი. 21.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.30 — მუსიკალური კიოსკი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მონოლოგი სიყვარულზე. ფილმ-კონცერტი ს. როტარუს მონაწილეობით. 23.50 — ახალი ამბები.

## თბილისი

10 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „აუქციონი“. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.20 — ხალხური შემოქმედება — ომისდროინდელი სიმღერები (განმეორებით). 17.55 — რეკლამა. 18.05 — მოსწავლეთათვის. „გაზაფხულის მელოდიები“. 18.40 — თვითნასწავლი მხატვარი ემა ზარაფიშვილი (განმეორებით). 19.15 — „საუნჯე“. დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე. 21.25 — ბეთჰოვენის მე-4 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. სოლისტი ა. ნიჟარაძე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლაქა“. 0.25 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. რეპორტაჟი საბერძნეთიდან (მ.).

მეორე პროგრამა. 15.35 — დოკუმენტური ფილმი „ამხანაგი კრასინი“. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „აქედანა და შენამდე“. 17.55 — განცხადებები. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ნორაშენი“ და „კერამიკა პინოსის კუნძულზე“. 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩიპის თავგადასავალი“.

ჩვენ ეკრანზე

## თეატრი

10 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ღამის პატარა სერენადა, წელიწადის დრონი, ძე ცთომილი (აბონ. № 26, მე-6 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მეფე ლირი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში; მეტეხი — ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია.

# საქართველოს პირველობაზე

თბილისში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. მეოთხე ტურში კვლავ ჩინებულად ითამაშა ჭაბუკმა ოსტატმა ჯანჯღავამ, რომელმაც დაამარცხა ჩაჩიბაია. გიორგაძემ ძლიერი იერიში მიიტანა ეფიმოვთან, გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და გაიმარჯვა. გათამაშების ლიდერი ბაღათუროვი მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა მანაგაძესთან, რომელიც თანამიმდევრულად აძლიერებდა იერიშს. ეს ბაღათუროვის პირველი წაგებაა. გედევანიშვილმა მოუგო ტაბატაძეს, რომელსაც ადრე გადადებულ პარტიაში ეფიმოვი დანებდა. სტუროუამ მოუგო გაფრინდაშვილს, კრასენკოვმა — ხეცურიანს. შალამბერიძე-ტყებუჩავას პარტია გადაიდო.

4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა 17 წლის ლაშა ჯანჯღავა. 3-3 ქულა აქვთ ოსტატებს გია გიორგაძესა და გია ბაღათუროვს.

# სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა 1987-1988 წლების საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში მოასპარეზე გუნდების წილისყრა. ამ ეტაპის მატჩები მოეწყობა 25 ივნისს. ოცდამეთორმეტედფინალში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შეხვედრათა განრიგი ასეთია: ვოლგოგრადის „როტორი“ — ფოთის „კოლხეთი“, მოსკოვის „კრასნაია პრესნია“ — ქუთაისის „ტორპედო“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — სოხუმის „დინამო“. როგორც ხედავთ, ამჯერად ჩვენი გუნდები სტუმრად ისპარეზებენ. მეთექვსმეტედფინალიდან თასის გათამაშებაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის კოლექტივები. მეთექვსმეტედ და მერვედფინალურ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან — შინ და სტუმრად.

რაგბი. გთავაზობთ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი-ქუთაისის „მშენებელი“ — 24:12, მოსკოვის „სლავა“-თბილისის „შევარდენი“ 21:10, მოსკოვის „ფილი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 25:16.

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებულ იუნიორთა ასპარეზობაში გაიმარჯვა ნატალია ზვერევამ (სსრ კავშირი). ფინალში მან დაამარცხა იანა პოსპიშილოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6:1, 6:0.

კალათბურთი. საბერძნეთში გრძელდება ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატი. გუშინ უნდა გამართულიყო ორი მეოთხედფინალური მატჩი. სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის, ხოლო გფრ-ის გუნდისა — ესპანეთის კოლექტივი. დღეს კიდევ ორი მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართება: იტალია — საბერძნეთი და პოლონეთი — იუგოსლავია. 12 ივნისს მოეწყობა ნახევარფინალური მატჩები, 13-ში გაიმართება შეხვედრა III ადგილისათვის. 14-ში კი ფინალური მატჩი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 07886 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14